

იმპლანტის ირგვლივ ღრუბლისებრი ძვლის დამაბულ-დეფორმირებული
მდგომარეობის შესწავლა ოკლუზიური დატვირთვისას

ნათელა ზირაქაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი
natzira@yahoo.com

შესწავლილია იმპლანტის მახლობლად ყბის ღრუბლისებრი ძვლის დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა ოკლუზიური დატვირთვის შემთხვევაში. ამ ამოცანის მათემატიკურ მოდელს წარმოადგენს დრეკადობის თეორიის საკონტაქტო ამოცანა იმპლანტსა და ყბის ძვალს შორის. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია სასაზღვრო ელემენტთა მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია ფლამანის (სემფ) და ბუსინესკის (სემბ) ამოცანების ამონახსნებზე. განხილულია შემთხვევები, როდესაც იმპლანტის დიამეტრი ტოლია 0.4სმ, 0.6სმ, 0.8სმ და 1სმ. აგებულია ძვალში ძაბვების კონტურები (იზოწირები) და შედარებულია სემფ და სემბ-ით მიღებული შედეგები სხვადასხვა დიამეტრის მქონე იმპლანტებისათვის.